

ნანა სოლოლაშვილი

ქართლ-კახეთი XVIII ს-ის 35-40-იან წლებში

1735 წლის 30 ივლისს ქართლ-კახეთი გათავისუფლდა ოსმალთა 12 წლიანი ბატონობისაგან, მაგრამ, ამავე წლის აგვისტოდან აღმოსავლეთ საქართველოში იწყება „ყიზილბაშობა“. ამიერიდან ქართლ-კახეთის მმართველ პირებს ნიშნავდა არა ოსმალეთის, არამედ ირანის ხელისუფლება. ირანის შაჰი მმართველებად ან გამაჰმადიანებულ მეფეებს ნიშნავდა, ან ყიზილბაშ ხანებს. მათი მმართველობა მოიცავდა პერიოდს 1735 წლის აგვისტოდან 1744 წლის იანვრამდე – თეიმურაზ-ერეკლეს გამეფებამდე. აღნიშნული ეპოქა საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უმძიმესი პერიოდაა. წინამდებარე ნაშრომში ჩვენს მიზანს წარმოადგენს ამ დროის წყაროებისა და ლიტერატურის შეჯერების შედეგად XVIII ს-ის 35-40-იანი წლების ქართლ-კახეთის პოლიტიკური მდგომარეობის სრულყოფილი წარმოჩენა.

მართალია XVIII ს-ის 30-იან წლებში ამიერკავკასიაში ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ ქართლ-კახეთი და ირანი ერთად იბრძოდნენ, მაგრამ ირანის შაჰი ქართველებს, მათი ეროვნული სამსახურის მიუხედავად, მანც ეჭვის თვალთ უყურებდა, რადგანაც მას მოეპოვებოდა ცნობები, იმ მიმონერის შესახებ, რომელსაც ქართლის ფეოდალები რუსეთში მყოფ ვახტანგ VI-თან აწარმოებდნენ და რუსეთის დახმარებით ქართლში მის კვლავ გამეფებას ცდილობდნენ [2:205-206]. ირანისათვის ასევე კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი თეიმურაზ კახთა მეფის რუსთმომხრეობაც.

ოსმალთა დამარცხების შემდეგ ერევანში მყოფმა თამაზ-ხანმა მეფე თეიმურაზი და ქართლ-კახეთის დიდებულები თავისთან დაიბარა. შაჰ-თამაზმა თეიმურაზს გამაჰმადიანება მოსთხოვა. თეიმურაზის უარის გამო 1735 წლის აგვისტოს ბოლოს თამაზ-ხანმა ქართლ-კახეთის მეფედ თეიმურაზის ძმისწული გამაჰმადიანებული ალექსანდრე დავით იმამყული-ხანის ძე (ალი-მირზა) დანიშნა. ალექსანდრე ალი-მირზას ქართლ-კახეთის ვალად დანიშვნის შესახებ ცნობები მოიპოვება ს. ჩხეიძის [12:47] და მირზა მეჭთის [7: H 2310] საისტორიო თხზულებებში. თარიღიან ცნობას ალექსანდრეს დანიშვნის შესახებ გვანვდის 1735 წ. ბარძიმ არაგვის ერისთავის წერილი რუსეთის იმპერატორ ანასადმი [24:182-185], საიდანაც ჩანს, რომ 10 აგვისტოს შემდეგ ერევანში თამაზ-ხანს ქართლ-კახეთის მეფედ დაუნიშნავს ალი-მირზა, ხოლო მის თანაშემწეებად ხანჯალ-ხანი, რომელსაც ნ. ბერძენიშვილი ასლამაზ-ხანად იხსენიებს

[15:167] და ალი-ყულიბეგ ამირეჯიბი, რომელთაც ქართლში ხარკის შეკრება დაევალებათ.

ამრიგად, 1735 წ. 10 აგვისტოდან ქართლში „ყიზილბაშობა“ დაიწყო. მას ირანული გადასახადები დაადეს. თბილისში დაბრუნებულმა ალექსანდრე ალი-მირზამ ნადირ-ხანის ბრძანებით თბილისს 8.000 თუმანი ხარკი შეაწერა, ამას გარდა სახასოს სოფლებს 3.000 თუმანი ფული და 3.000 ხარვალი (75.000 ფუთი) ხორბალი გადაახდევინა. მთელი ეს ხარკი და 2.000 მოლაშქრე ალექსანდრემ ნადირს გაუგზავნა [12:47].

მოგვეპოვება ალექსანდრე მეფის მიერ 1735 წ. ნოემბრიდან 1736 წ. სექტემბრამდე ქართლის სამეფოში გაცემული საბუთები [7: Ad 583, 8, ფ. 1450, დ. 26, ს. 161] და 1735 წ. მიწურულიდან 1736 წ. ოქტომბრამდე კახეთის სამეფოში გაცემული საბუთები (7, Hd 9265; Hd 9574; 8, ფ. 1461, რ. 13, ს. 23, ფ. 1448, ს. 2295]. ამ საბუთებში ალექსანდრე იწოდება „ქართლისა და კახეთის მპყრობელ, ერანის ხელმწიფისაგან უხვად გამდიდრებულ მეფეთ-მეფედ“. სინამდვილეში კი ის ნომინალური მეფე, შაჰის მოხელე და მისი პოლიტიკის გამტარებელია აღმოსავლეთ საქართველოში.

1735 წ. ერევანში მყოფმა თამაზ-ხანმა თეიმურაზ კახთა მეფეს და სხვა კახ დიდებულებს ცოლ-შვილის ტფილისში მიყვანა უბრძანა. ოქტომბერში თვითონაც ერევნიდან თბილისისაკენ დაიძრა და თან თეიმურაზ კახთა მეფე და ქართლ-კახეთის თავადები გამოიყოლა. გზაში ქართველმა ტყვეებმა დრო იხელთეს და გაიქცნენ. თეიმურაზ მეფე კახელებით ქართლში გადავიდა. ქართლის თავადები ზოგი იმერეთს, ზოგი რუსეთს გადაიხვეწა; ზოგი კიდევ მიუვალ ციხეებში გამაგრდა. ამ ამბავს გადმოგვცემს თედო ჟორდანიაც „ქრონიკების“ III ტომში: „1735 წ. უკგ. ღვინობისთვის ვ. შემოვიდა ქალაქში თამაზ-ხანი. იზ დღეს დარჩა. ყურყუთადან გამოეპარნენ თეიმურაზი, ამილახორი გივი, მუხრანბატონი მამუკა, ავალიშვილი და სხვა. თეიმურაზი ფშავეში გაიხიზნა, გივი იმერეთში გადავიდა, მუხრან-ბატონი წავიდა რუსეთს“ [6:152-153]. ს. ჩხეიძე კი ამ ამბავს ასე გადმოგვცემს: „მიეცა დასტური თამაზ-ხანს კახის ბატონის თეიმურაზისათვის, რომ ცოლითა და შვილით, კახთ დარბაისლით ქალაქს (თბილისს) ჩამოსულიყო. რა კახეთს მივიდა, კახთ ეს არ ქნეს ცოლ-შვილით ჩასვლა, აიყარნენ და წავიდნენ ფშავეში“ [12:47].

ამრიგად, ქართლ-კახეთი ისევ აჯანყებამ მოიცვა. ერანის სარდალმა ქართლსა და კახეთს თავისი დამსჯელი რაზმები შეუსია. 26 ოქტომბერს თამაზ-ხანი კახეთს მიადგა: „აოხრა ქარი და შამახიას ჩავიდა. რაც ქართლ-კახელნი ახლდნენ, რა ალაზანს გავიდნენ, იარალი აჰყარა და ყველანი განჯას გაისტუმრა... აჰყარა

ქართლ-კახეთიდან მრავალი კომლი მოსახლე და ხორასანში გაგზავნა“ [9:ფ. 1446, №703]. როგორც ჩანს, ნადირი საქართველოს საკითხის გადაჭრას ისეთივე საშუალებებით აპირებდა, როგორც შაჰ-აბასი.

1735 წ. ბოლოს სპარსელებისაგან შევიწროებული და დევნილი თეიმურაზ მეფე რუსეთის იმპერიაში აგზავნის ელჩობას თავად როსებ გიორგის ძის მეთაურობით [4:189-195]. ელჩობის მიზანი იყო გაეფრთხილებინა რუსეთის მთავრობას ნადირ-შაჰი, რათა მას შეეწყვიტა აგრესია საქართველოს მიმართ, აღედგინა თეიმურაზ მეფის უფლებები კახეთის სამეფოში და დაენიშნა მისთვის ჯამაგირი. დაებრუნებინა სამშობლოში ქართლის ტახტის კანონიერი პრეტენდენტი: „ერთი კაცი და წიგნი თამაზ ხანთან გვიბოძოს, ჩვენ და ამ ქვეყანას ავს ნულარ გვიზამს, იმისგან სიკვდილისა და სჯულის დაგდების ფიქრი აღარა გვქონდეს, ჩვენი ქვეყანა კახეთი საბატონოდ ჩვენვე მოგვცეს, რომ ამავ ჩვენს ქვეყანას, ჩვენის რჯულით ვიყოთ და თქვენი ბედნიერი თავი ვილოცოთ. თუ ეს არ იქნებოდეს ამისი წყალობა გვიყავით, ამ ქვეყანას მტერმა არ წაგვახდინოს და მაგათს საფარველს ქვეშ შეგვიხვენიონ, ასეთის წიგნისა და კაცის წყალობა გვიყონ, რომ გზაზე მაგათის წყალობით მშვიდობით გამოვიაროთ და მაგათს საფარველს ქვეშ მოვანოთ... უკეთუ არა გვეწვევის ხელი ბრწყინვალისა, სიმალლისა, ამაღლებულის მეფობისა თქვენისა სრულიად აღიფხვრების სჯული ქრისტესი და მივეცემით უსჯულოებას: უკეთუ მაგათი დიდებული სიმალლე და ძალი მეფობისა მაგათისა შეგვეწეოდეს, ბაქარ, მეფის ვახტანგის შვილი, ქართლში გამოისტუმროს და თუ ხელმწიფის ძალი და წყალობა იქნების, მე და მაგას თავს დაგვადვას სამსახური, ღვთითა და მაგათის ამაღლებულის ძალით, სამსახურს ვეცდებით და წინაც წავიყვანთ, თუ არა და თამაზ-ხანთან შუამავლობა მიყოს, რომ ჩემი ქვეყანა მე მიბოძოს და ამისგან უფრო ჩვენს ქვეყანას ნულარ მოაოხრებს. თუ არც ეს იქნას, ამდენი წყალობა მიყოს თავის საფარველს ქვეშ მიმანევინოს...“ მაგრამ თეიმურაზის მიერ რუსეთში გაგზავნილ ამ ელჩობას შედეგი არ მოჰყოლია. თეიმურაზისათვის ნათელი გახდა, რომ დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში მხოლოდ საკუთარ ძალებს უნდა დაყრდნობოდა.

ნადირმა 1735 წ. ოქტომბერში თბილისში 17 დღე დაჰყო. თბილისიდან ის დარუბანდისკენ გაემურა ყირიმელი თათარხანის წინააღმდეგ, რომელიც დაგვიანებით წამოსულიყო შარვანში ოსმალთა დასახმარებლად, მაგრამ თათარხანმა გზაშივე შეიტყო ოსმალთა დამარცხება და უკანვე გაბრუნდა. ნადირი კი მულანს წავიდა, სადაც მას განზრახული ჰქონდა ერანის ყაენად დაჯდომა. მანამ-

დე ნადირმა შაჰობიდან გადააყენა თავისი უუნარო პატრონი შაჰ-თამაზი და შაჰად ჯერ მისი 8 თვის შვილი აბას III გამოაცხადა, ხოლო 1736 წ. 26 თებერვალს ირანელი თავკაცების ყრილობას უკვე თავისი თავი აარჩევინა. აქვე ეახლნენ მას ამიერკავკასიელი ყმე-ბიც. ნადირი ირანის კონგლომერატული სახელმწიფოს თვითმპყრო-ბელი გახდა. მან ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების მიზნით სახელმწიფო რეფორმა ჩაატარა, რომელიც მის იმპერიაში იძულებით ჩართულ საქართველოსაც შეეხო. მისი ბრძანებით ირა-ნი 4 სამხედრო-ადმინისტრაციულ ოლქად დაიყო. ერთ-ერთი ოლქი იყო აზერბაიჯანი, რომლის ბეგლარ-ბეგად და მთავარსარდლად ნადირმა თავისი ძმა იბრეიმ-ხანი დანიშნა. ნადირმა იბრეიმ-ხანს აზერბაიჯანთან ერთად სამმართველოდ ერევანი, დაღესტანი და აღმოსავლეთ საქართველოც მისცა.

ნადირმა ადგილზე ქართლ-კახეთის მეფედ ისევ ალექსანდრე ალი-მირზა დანიშნა, რომელიც აზერბაიჯანის ბეგლარ-ბეგს დაუ-ქვემდებარა (იბრეიმ-ხანის სიკვდილის შემდეგ ეს დაქვემდებარე-ბა აღარ ჩანს). დიდი წყალობის გაღების შემდეგ, ნადირმა ქართლ-კახეთის მეფე ალექსანდრე საქართველოში გამოისტუმრა და მას ყიზილბაში სარდალი სეფი-ხანიც ყიზილბაშთა ჯარით თან გამო-აყოლა. სეფი-ხანმა ქართლს ახალი ხარკი დაადო: 3,300 თუმანი ფულის გადახდა და 500 ნოქრის გამოყვანა კაც-ცხენ-იარაღით, რომელიც თბილისში უნდა მდგარიყო [27:447].

სეხნია ჩხეიძის გადმოცემით, ქართველებმა ამდენი ველარ აიტა-ნეს და თავადების ერთი ნაწილი ყიზილბაშებს განუდგა: „უკუდგა ქსნის ერისთავი შანშე, ამილახვარი, აბაშიძე ვახუშტი და ზემო ქართლი, გაღმით თარხანი ლუარსაბ და მისი სახლის კაცნი“ [12:49].

უკუმდგარ თავადებს ყიზილბაშებმა მარბიელი რაზმი გაუსიეს, მაგრამ ქსნის ერისთავიცა და გივი ამილახვარიც მომხდურებს მარ-ჯვედ დახვედრიან და ყიზილბაშები დაუმარცხებიათ. სამაგიეროდ ყიზილბაშები შესევინან სააბაშიძეს, საჩხეიძოს, სურამის ხეობას, საფალავანდიშვილოს, იქაურობა აუოხრებიათ და გადაუნვიათ. აჯანყებულები შეტევაზე გადასულან და ყიზილბაშები ზედიზედ დაუმარცხებიათ. სეფი-ხანი იძულებული გამხდარა თბილისის ციხეში ჩაკეტილიყო [27:448].

ყიზილბაშების წინააღმდეგ მეზრძოლთა შორის შეურიგებლო-ბით გამოირჩეოდა შანშე ქსნის ერისთავი. მან თავის მამულში დაღ-ესტნელები მიიწვია, რომელთაც მალაჩი ბელადი მეთაურობდა და ისინი ყიზილბაშებს დაუპირისპირა [2:226]. შანშეს არც გივი ამი-ლახვარი ჩამორჩებოდა.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით: „ხოლო გახელმწიფდა რა თამაზ-ხან მულამს, მერმე წარვიდა შანადირ ისპაანს, შთამოვიდა

თეიმურაზ კახეთს და დაიპყრა კახეთი...“ [1:627]. ამგვარად, 1736 წლის გაზაფხულზე თეიმურაზმა ხელსაყრელი დრო შეარჩია კახეთში დასაბრუნებლად. ჩამოვიდა ფშავიდან და დაიპყრო კახეთი. აქ ფაქტიურად ნადირ-შაჰის მიერ დანიშნული ალექსანდრე ალიმირზა მეფობდა. როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, თეიმურაზი კახეთის გარკვეულ ნრეებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და მისი გარკვეული გავლენა რჩებოდა კახეთის ნაწილში. ამაზე მიუთითებს 1736 წ. მაისიდან 1736 წ. ბოლომდე თეიმურაზ მეფის მიერ გაცემული საბუთები [7: Hd 483; Hd 10205; Ad 2244; 8, ფ. 1449, ს. 2715; ს. 1881]. ამავე პერიოდში მოგვეპოვება ალექსანდრე მეფის მიერ გაცემული საბუთებიც [8: ფ. 1448, ს. 2295; 7, Hd 9677]. აღნიშნულ საბუთებში ორივე – თეიმურაზიც და ალექსანდრეც – მეფედ იწოდება. მასასადამე, 1736 წლის გაზაფხულიდან 1736 წლის ბოლომდე კახეთის სამეფოში თეიმურაზისა და ალექსანდრეს თანამეფობაა.

თეიმურაზის ფშავიდან დაბრუნების მომენტში ქართლსა და კახეთში ყიზილბაშების წინააღმდეგ აჯანყება გრძელდება. თეიმურაზიც აქტიურად ებმება ამ აჯანყებაში. მაგრამ ხანგრძლივი აჯანყება ქართლ-კახეთის მოსახლეობას ანადგურებდა. გარედან დახმარების უიმედობა აჯანყებულთა ენერჯიას აღუწებდა. ამავე დროს ერანის აგენტები აჯაყენებულთა შორის შუღლის ჩამოგდებას ცდილობდნენ.

ამ დროს სეფი-ხან სარდალმა ფიცით აღუთქვა აჯანყებულ ქართველებს ყენის წინაშე შუამდგომლობა – მათი უვნებლობისა და ხარკის შემცირების თაობაზე. აჯანყების მეთაურები: კახეთის მეფე თეიმურაზ, ბარძიმ არაგვის ერისთავი, გივი ამილახორი, ლუარსაბ თარხანი, გივი ჩოლოყაშვილი, თამაზ ანდრონიკაშვილი, ქაიხოსრო ჩერქეზიშვილი მივიდნენ ხანთან. სეფი-ხანმა კი ისინი ვერაგულად შეიპყრო და ნადირ-შაჰს პატიმრებად გაუგზავნა ისპაანში. სეფი-ხანის მიერ თეიმურაზის დაპატიმრების დამადასტურებელია შემდეგი საარქივო დოკუმენტიც: „...მეფის ერეკლეს ძემან და თვით მეფემან კახთამან თეიმურაზ... აგარაკის შემოწირულობის წიგნი და გუჯარი გკადრეთ, მოგართვით და მოგახსენეთ: შენ ჩვენსა სიქადულსა და მარადის სავედრებელსა თბილისის ქალაქსა შინა-სახლად ღთისადა აღშენებულისა სიონთა ღთისმშობელისა, მას ჟამსა ოდეს ველინამად გვიხმო კარსა თვისსა ყიზილბაშთა და პატიმარ გვყვეს და მერმელა წარგვგზავნეს კარსა მისსა და წარვედით არა ნებითა ჩვენითა არამედ იძულებით...“ [8: ფ. 1449, ს. 2715].

სეფი-ხანის მიერ თეიმურაზის დაპატიმრება ს. ჩხეიძესთან დათარიღებულია 1736 წლით [12:50-51], ხოლო ვახუშტი ბაგრა-

ტიონთან 1737 წლით [1:628]. სავარაუდოა, რომ თეიმურაზის დაპატიმრება უნდა მომხდარიყო 1736 წლის ბოლოს, რადგან სექტემბერში მას გაცემული აქვს ორი საბუთი: 1736 წ. 27 სექტემბერს შეწირულობის წიგნი მიცემული თეიმურაზ მეფის მიერ თბილისის სიონისადმი [7: Hd 483] და ბრძანების წიგნი მიცემული თეიმურაზ მეფის მიერ მოურავ ქაიხოსროსათვის [8: ფ. 1449, ს. 1881]. ე.ი. 1736 წლის სექტემბერში თეიმურაზი ჯერ ისევ კახეთშია. სწორედ ამიტომ ვვარაუდობთ, რომ მისი დაპატიმრება უნდა მომხდარიყო 1736 წ. ბოლოს.

ქართლ-კახეთის მეფე ალექსანდრე ალი-მირზა სპარსეთის ხელისუფლებას და სეფი-ხანს ვერ შეეწყო. ვახუშტის ცნობით: „არამედ ძე იმამყული-ხანისა ალი-მირზა რომელი დაუტყევა შანადირ ტფილისს, ვითამ ვალი, შთავარდა ამასა და ხანს შორის შური დიდი“ [1:628]. ვახუშტის ეს ცნობა უთარიღოა. ქრონოლოგიურად ის 1737 წ. ამბებს მოსდევს. ჩვენი აზრით ეს ცნობა, ალექსანდრე მეფესა და სეფი-ხანს შორის მომხდარი კონფლიქტის შესახებ, უნდა დათარიღდეს 1736 წ. შემოდგომით. დათარიღების საფუძველს გვაძლევს ს. ჩხეიძის ცნობა, რომ „1736 წ. ოქტომბერს, მოვიდა ყეენისაგან ბრძანება და წყალობა, ქართლი ებოძა აბდულა-ბეგისათვის, იქმნა მეფედ საქართველოსი და დაარქვეს არჩილ, კახეთი-ალი-მირზათვინ, რომ მცირესა ჟამსა მეფედ იყო ქართლსა, ერევანი-სულთნის სეფი-ხანისათვის“ [12:50]. ე.ი. ალექსანდრეს მეფობა ქართლ-კახეთში მოიცავდა პერიოდს 1735 წ. აგვისტოდან 1736 წ. ოქტომბრამდე, ამ პერიოდში ალექსანდრეს მიერ გაცემულ საბუთებში ალექსანდრე იწოდება ქართლისა და კახეთის მეფედ [7:HHd 9677; Hd 9265; 8, ფ. 1450, დ. 26. ს. 161; ფ. 1461, რვ.13. ს. 23]. კახეთში კი ალექსანდრე მეფობას განაგრძობს 1738 წ. თებერვლის ჩათვლით. ალექსანდრე მეფე საერთოდ სპარსეთის ხელისუფლებას ვერ შეეწყო. ის თავისი მეფობის დასაწყისში რუსული ორიენტაციის პოლიტიკურ მოღვაწედ გვევლინება. ერანის შაჰზე განაწყენებული ალექსანდრე 1736 წელს რუსეთის იმპერატორ ანა ივანეს ასულს უგზავნის წერილს და დახმარებას სთხოვს: „...ყოველთვის ჩვენი მამა-პაპა მაგათს მოწყალების ქვეშ ყოფილან, ჩვენც მაგათთვის მოგვიმართავს. ბიძა ჩემი მეფე თეიმურაზ მოტყუებით დაიჭირა თამაზ ხანმა, დაჭერილი წაიყვანა, მასუკან შვილები წაასხმევინა. მე დარჩომილ ვარ ჩემს ოჯახში. ჩემსასაც დაჭერას და წაყვანას ცდილობს, კახეთის მოხრებას; ამას გეხვეწებით და მოგახსენებთ, თქვენს მეტი მისამართი არავინა გვყავს. ამ ქვეყანას ჩემი დგომა აღარ იქნება, მთის ალაგში ვდგევარ, დიდებულმა და ამალღებულმა ხელმწიფემ ამდენი წყალობა გვიყოს თავისს ამ ბედნიერისა და

მაღალს კარზედ გვიახლოს...“ [2:208]. ყიზილბაშებისაგან შევიწროვებული ალექსანდრე მეფე იმპერატორს თავშესაფარს და ჩერქეზეთამდე მისი მშვიდობიანად მგზავრობის უზრუნველყოფას სთხოვს. ამ წერილს შედეგი არ მოჰყოლია.

ასევე აღსანიშნავია, რომ 1736 წ. სანამ სეფი-ხანი თეიმურაზ კახთა მეფეს კვლავ დააპატიმრებდა, თეიმურაზი არაერთ წერილს უგზავნის რუსეთის იმპერატორ ანა ივანეს ასულს, ახსენებს რომ მამამისს ერეკლე მეფეს რუსეთისაგან მრავალი წყალობა და პატივი მიუღია, საქართველოს ბატონობაც მათი მეშვეობით უშოვნია და ამიტომ ახლა თეიმურაზიც, როგორც ქრისტიანი მეფე სწორედ მათ სთხოვთ ყენის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებას: „...ანე, მაღალს და ყოველთა ხელმწიფეთა უზესთაეს, ქრისტიანეს ხელმწიფეს, თაყვანისცემით ვეხვეწებით ქრისტეს მსგავსი მოწყალება ჩვენზედ მოიღოს. ერთი კაცი და წიგნი თამაზ-ხანთან გვიბოძოს, ჩვენ და ამ ქვეყანას ავს ნულარ გვიზამს, იმისგან სიკვდილსა და სჯულის დაგდების ფიქრი აღარა გვეონდეს, ჩვენი ქვეყანა კახეთი საბატონოდ ჩვენვე მოგვცეს, რომ ამავე ჩვენს ქვეყანას, ჩვენის რჯულით ვიყოთ და თქვენი ბედნიერი თავი ვილოცოთ. თუ ეს არ იქნებოდეს ამისი წყალობა გვიყავით, ამ ქვეყანას მტერმა არ წაგვახდინოს და მაგათს საფარველს ქვეშ შეგვიხვეწიონ... თუ ამავე ჩვენს ქვეყანას დგომა იქნებოდეს მაგათის წყალობით, რომ მტრისგან არ გვეშინოდეს ის უდიდესი წყალობა იქნების, თუ არა და მანდ მაგათს საფარველს ქვეშ მოწვევის წყალობა გვიყოფ: ერთს ამას გაგებდავთ და მოგახსენებთ, რომელიც მაგათის ნეტარ ხსენებულის დიდის ხელმწიფის პაპათაგან ჩვენს მამაპაპათ ჯამაგირის წყალობა სჭირებოდესთ, მეც ის წყალობა მიყონ, მიბოძონ, თუ ჩემი ამ ქვეყანას ყოფნა იქნებოდეს. ეს ქვეყანა მტრისგან წამხდარი არის, მე მაგათის წყალობა ჯამაგირით აქ დავრჩე და თუ ჩემი აქ დგომა არ იქნებოდეს, მაგათის საფარველის მეტი მისამართი არა მაქვს, მაგათს საფარველს ქვეშ უნდა ვიახლო და მაგათის წყალობის ჯამაგირით მანდ უნდა დავრჩე, მაგათის ბედნიერის თავის მლოცველი და თაყვანისმცემელი ვიყოთ...“ [2:211-212]. თითქმის ასეთივე შინაარსისაა მეორე წერილიც: „...რადგან მაგათის ამაღლებულის, ბრწყინვალის მეფობის მორჩილი არის ეს აზიის სარდალი და ჩვენც იმედი გვაქვს, რომ მაგისი ბრძანებიდან არ გავიდე და ჩვენს ქვეყანაში კიდევ ქრისტიანობა დარჩეს და ძირითურთ არ აღიფხვრას და მაგათი მლოცავნი იყვნეს ეს ქვეყანა, რომ ათას ოთხასი წელიწადია ამ ქვეყანას ქრისტიანობა არის, ქრისტიანობაზედ არაოდეს არ დასუსტებულა: უკეთუ არა გვეწვევის ხელი ბრწყინვალისა, სიმაღლისა, ამაღლებულის მეფობის თქვენისა

სრულიად აღიფხვრების სჯული ქრისტესი და მივეცემით უსჯულოებასა: უკეთუ მაგათი დიდებული სიმაღლე და ძალი მეფობისა მაგათისა შეგვენოედეს, ბაქარ, მეფის ვახტანგის შვილი, ქართლში გამოისტუმროს და თუ ხელმწიფის ძალი და წყალობა იქნების, მე და მაგას თავს დაგვადვას სამსახური, ღვითთა და მაგათის ამაღლებულის ძალით, სამსახურს ვეცდებით და წინაც წავიყვანთ. თუ არა და თამაზ-ხანთან შუამავლობა მიყოს, რომ ჩემი ქვეყანა მევე მიბოძოს და ამისგან უფრო ჩვენს ქვეყანას ნულარ მოაოხრებს...“ [2:212-213].

აი ასეთი პოლიტიკური ორიენტაციისაა თეიმურაზი თავისი მეფობის დასაწყისში, მაგრამ, როგორც ჩანს, რუსეთს ამ დროს საქართველოსთვის არ ეცალა და ამიტომაც თეიმურაზის ამ წერილებს არანაირი შედეგი არ მოჰყოლია. ვფიქრობთ, სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ შემდეგში თეიმურაზმა ნადირთან საერთო ენის გამონახვა ამჯობინა.

1736 წ. ბოლოს ნადირ-შაჰმა ყიზილბაშებსა და ქართველებს შორის მომხდარი განხეთქილების გამო ახალ ღონისძიებას მიმართა – როგორც ზემოთ იყო აღნიშნული სეფი-ხანი გადაიყვანა ერევანში, ალექსანდრე ალი-მირზა მხოლოდ კახეთში დატოვა, ხოლო ქართლის მეფედ – იესე მეფის ძე გამაჰმადიანებული აბდულაბეგი დანიშნა, რომელსაც არჩილ მეფე უწოდეს. ნადირ-შაჰის ეს ღონისძიება ზურგში მშვიდობიანობის შენარჩუნებას ემსახურებოდა, რადგან ამ დროს იგი დიდი დამპყრობლური ომებისათვის ემზადებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ 1737 წლიდან ქართლს ახალი გამაჰმადიანებული მეფე ჰყავდა, ქართლში ყიზილბაშთა წინააღმდეგ ბრძოლა არ წყდებოდა. როგორც XVIII ს-ის ქრონიკების ავტორი გვაცნობებს, 1737 წ. აპრილის ბოლოს „მოვიდა სეფი-ხან დიდის ჯარით, შეუხდა ქსნის ერისთავს – აიღეს ციხეები: იკორთა, ვანათისა, კულბითისა, მიუხდნენ ვახუშტი აბაშიძეს, აიღეს ციხისძირი, სურამი, გაუარეს ქსნის ერისთავს, აიღეს ციხეები აწყურისა, ბეშო, მონასტერი, დაატყვევეს ქსნის ერისთავის ცოლ-შვილი, თვითონ წავიდა რუსეთს“. ამავე დროს ერევნის მმართველმა სეფი-ხანმა დაიჭირა თბილისში ქართლის მმართველი აბდულაბეგი და ციხეში გამოამწყვდია. შემდეგში შაჰ-ნადირი იბარებს აბდულაბეგს და ისიც 1737 წ. ნოემბერში ტოვებს ქართლს. ამავე დროს სეფი-ხანი აჯანყებულთა წინააღმდეგ იბრძვის ანანურში და ახალგორში. შაჰ-ნადირი თავისთან იბარებს ქართლის დიდებულებს: ოთარ ამილახვარს, ქაიხოსრო სარდალს, კირილე მთავარეპისკოპოსს, ქაიხოსრო ჯავახიშვილს, ავთანდილ ფალავანდიშვილს, ლორეს მელიქ ფე-

შანგის, სომხეთის მელიქ ბაადურს, ამირეჯიბ ალიყული-ბეგს. 1738 წ. აპრილში ყანდაარიდან ქართლის ბატონად ბრუნდება ხანჯალხანი, ალიყული-ბეგი კი ვექილად [9:ფ. 1446 №703].

სეფი-ხანის მიერ შეპყრობილი თეიმურაზ მეფე და სხვა ქართველი დიდებულები ნადირმა შეინყნარა „ვინაითგან ნებითა თვისითა მისრულ იყო და ღალატით შეეპყრა ხანსა“ [1:627]. ნადირმა დატყვევებული დიდებულები ყანდაარის ლაშქრობაში თან იახლა.

თეიმურაზი, მიუხედავად იმისა, რომ ყანდაარში იმყოფებოდა, 1737 წ. გაცემულ საბუთებში თავის თავს კახეთის მეფეს უწოდებს. ასე მაგალითად, 1737 წ. 19 ივლისს თეიმურაზ მეფე ანაგელ შერმაზანას აძლევს აზატობის წიგნს. ამ საბუთში თეიმურაზი იწოდება დიდი ხელმწიფისაგან გახელმწიფებულ კახეთის მპყრობელად [7: Qd 23]. ასევე იწოდება ის 1737 წ. გოგია ცისკარიშვილისათვის მიცემულ აზატობის წიგნშიც [7, Ad 1100]. აქედან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ ნადირ-შაჰს ყანდაარშივე უნდა მიეცა თეიმურაზისათვის კახეთის სამეფო და თეიმურაზ მეფემ ეს საბუთები გასცა ყანდაარში, რადგან ამ დროს ის ჯერ კიდევ არ იყო დაბრუნებული საქართველოში. ამ საბუთებით ისიც დასტურდება, რომ კახეთში „ორიანობაა“, ე. ი. კახეთის ტახტის პრეტენდენტი ორია: ალექსანდრე ალი-მირზა კახეთში, ხოლო თეიმურაზი ყანდაარში [21:114]. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ 1737 წ. ნოემბერში ალექსანდრე ალი-მირზას მიერ გაცემულ წყალობის წიგნში გვივარჯნიანადმი [7:Hd 9265], ალექსანდრე თეიმურაზს ჯერ კიდევ ბატონისშვილად მოიხსენიებს და არა მეფედ. ამავე წელს ალექსანდრე ალი-მირზას განუზრახავს ნადირ-შაჰის წინააღმდეგ აჯანყების მოწყობა. აჯანყების მოსაწყობად ის დახმარებას თამარ დედოფალსაც (თეიმურაზის ცოლს) სთხოვს, მაგრამ თამარს ამ დროს ქმარ-შვილი ირანში ჰყავდა და რალა თქმა უნდა იგი ალექსანდრეს ამ წინადადებას ვერ მიიღებდა. „ესე აცნობა თამარ ქისიყელთა და თუშთა არაყოფად ამისა ესრეთ, მაშინ იგინი მტკიცედ დაადგრენ ერთგულებასა ზედა თამარისასა გივის ჩოლოყაშვილის მიერ და ამისთვის მივიდა თამარიცა ქისიყს, ხოლო მათ რა იხილეს ესრეთ ვერღარა რაი იკადრეს ქმნად, რამეთუ ვინაითგან იქმნებოდა შფოთი დიდი და სისხლის დანთხევა კახთა შორის, განიფანტნენ და წარვიდნენ თვის-თვისად“ [1:628]. ამას გარდა, ალექსანდრე კარგად გრძნობდა თეიმურაზ მეფის კანონიერებას კახეთის ტახტზე და ისიც იცოდა, რომ ყანდაარში თეიმურაზმა შეძლო ნადირ-შაჰთან საერთო ენის გამონახვა. ამიტომ იმედგაცრუებული ალექსანდრე მეფე „ველარ დამყოფელი კახეთსა შინა“ იძულებული გამხდარა წასულიყო „წინაშე შანადირის ყანდაარს“. ალექსანდრეს ნადირ-შაჰთან გამ-

გზავრების ზუსტი თარიღი არ მოგვეპოვება. ალექსანდრეს მიერ კახეთის სამეფოში უკანასკნელი საბუთები გაცემულია 1738 წელს. ეს საბუთები თვეებს არ აჩვენებს, მაგრამ ალექსანდრეს გამგზავრება ყანდაარში სავარაუდოა 1738 წ. მარტამდე. ამ ვარაუდს ადასტურებს ჭარის ომების ქრონიკაც, სადაც ვკითხულობთ „В то время правителем Кахетии был до конца зимы Али мирза-хан“ [13:28]. ასევე ცნობილია, რომ ნადირ-შაჰმა ყანდაარი 1738 წ. მარტში აიღო და მაშინვე გაემართა ინდოეთზე გასალაშქრებლად [23:98]. ე. ი. 1738 წ. მარტში ალექსანდრე უკვე ნადირ-შაჰთან იყო და მას ინდოეთის ლაშქრობაშიც თან გაჰყვა, სადაც დაიღუპა კიდეც (1:628).

ნადირ-შაჰმა 1737 წ. მასთან პატიმრად მყოფ თეიმურაზს კახეთიდან ქალ-ვაჟი დააბარებინა. თეიმურაზის ქალი ქეთევანი ცოლად შერთო თავის ძმისწულს ალი ყული მირზას, რომელიც შემდეგ ირანის შაჰი გახდა ადილ-შაჰის (სამართლიანი შაჰის) სახელით, ხოლო ვაჟი ერეკლე თან წაიყვანა ინდოეთის ლაშქრობაში. თეიმურაზს სამმართველოდ კახეთი დაუბრუნა და სამშობლოში გამოისტუმრა [14:333].

ერეკლეს ინდოეთში ლაშქრობის დამადასტურებელია ის მრავალრიცხოვანი წყალობის სიგელები, რომლებიც თეიმურაზს კახეთში დაბრუნების შემდეგ ცოტა მოგვიანებით გაუცია: [8: ფ. 1461, რვ. 13. ს. 185; ფ. 1449, ს. 527; ფ. 1448, ს. 5705]. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა თეიმურაზ II-ის მიერ 1740 წელს გაცემული წყალობის სიგელი სოლომონ გურგენიძისადმი, რომელიც გვანჯდის მრავალ საინტერესო ცნობას იმდროინდელი საქართველოსა და თეიმურაზ-ერეკლეს ისპაანში ყოფნის შესახებ: „...ესე წყალობის წიგნი დაგინერეთ და მოგიბოძეთ... თქვენ მრავალფერად თავდადებულს და ჩუენსა სამსახურსა შინა ნიადაგ მზად მყოფსა და ერთგულება დაჯერებულს ყმათ გურგენიძეს და ჩუენს არმის ეშიკალაბაშთ ბეჟანბეგის შვილს სოლომონს, ...ამად რომე როდეს ნადირშამა ერანი დაიჭირა, მაშინ აქ მობრძანდა, ჩუენს ძმისწულს ალექსანდრეს ქართველთ ბატონობა უბოძა, ჩუენც ბევრი ძალიანი სამსახური დავსდევით: ლეკი და ურუმი გაერთდენ, ახალციხის უსუფ-ფაშა ქართლში ბატონობდა, ყარაღაჯის ციხე ეჭირა, დიდის ჯარით თოფხანით გამოვიდა კახეთზედ, ჩუენის მაჰმადყული-ხანის სიკვდილიც და დარბაისელთ და ეპისკოპოსთ ამონყვეტაც თავს ედვათ მუხთლობით; ღთის მონყალებით დედოფლის წყალზედ დავეხსენით, ქალაქამდე ვდიეთ, ბევრი ამგვარი სამსახურები გავსწივეთ, მაგრამ არ დავგინდო: გორს დავგიჭირეს ჩუენ და ქართველნი თავადები: ბარძიმ ერისთავი, ამილახვარი გივი და თარხანი. ყენი ისპაანს ბრძანდებოდა, წაგვასხეს ტუსალათ, შენ თავ-

დადებით დაუპატიჟათ გვიახელ, გზებზედ კარგად გვემსახურე. მერე ყეენმა ისპაანს წყალობა გვიყო, კარგათ შეგვიწყნარა, მაგრამ ყანდაარზედ გაილაშქრა, ჩუენ თან წავგასხა, ვინც გვერდით გვახლდნენ დიდათ შეწუხდნენ თხოვნა შექმნეს: მე ყველა თავისუფლად გავხადე, წამოყოლის ნება მივეც. მაშინ შენ და პაატა ტუსისმვილს პირობა გქონდათ, თავგადადებით გარდმოგყევით ისპაანიდან, მანამ ყანდარს ჩავიდოდით გზაზედ მრავალი განსაცდელეები გარდაგვხდა და ომიც. მირეიზის შვილი ყაენი თავს დაგვესხა ორმოცის ათასის კაცით ლამით, მაშინ კარგათ გაისარჯე, სანგარზედ ყეენის ყულეებთან დასწრებოდი, ცხენიც მოგეკლა, ყულეებს მოესენებინა ყეენისათვის: თეიმურაზ ხანის ყულეები ჩუენთან დაესწრენო და კარგად გაისარჯნენო. ებძანებინა, გურჯებს ამისთანაში არა ჰეცხვენიათო, მეორე დღეს მადლიერობა ებძანათ; მივედით, ყანდარს შემოეზნენ, დიდხანს ომი იყო. ვინც ქართველნი გვახლდნენ, ან კახნი კარგა იყვენენ, მირუიზი კიდევე დაამარცხეს. ყანდაარი მოასირი გახდა, მერმე ჩუენი შვილი ირაკლი დაიბარა, ჩამოიყვანეს ექვს თვეს მოასირი იყო, ყანდაარ იერიშით აიღო, შენ ციხეში გადახველ, იქაც კარგათ იყავ. ჩუენ დიდის პატივით და წყალობით ვყუანდით. მერმე ინდოეთისაკენ გაილაშქრა და ჩუენ მურახასი (წყალობა) გვიყო, აქათ გამოგვისტუმრა, ჩუენი შვილი ირაკლი თან წაიყვანა; გაყრის დღეს დიდი მწუხარება შეგვექმნა, თავისთან შეზდილნი ყმანი დაეთხოვენ და წამოვიდნენ, შენც ჩუენთანვე წამოგიყვანეთ. ბატონიშვილის გაყრისთვის დიდად შეწუხებული ვიყავით ბატონყმიანათ, არც მოენე ყუანდა რომ სპარსული სცოდნოდა. ჩუენს უდასტუროთ წახველ და გზაზედ მიენიე და თან იახელ ინდოეთში. მრავალი განსაცდელი გარდაგხედოდათ, დიდრონი ომი გზაზედ, ტახტის სიახლოეს შაჰ-ჯანაბათს ინდოეთ მეფე შემოებოდა, დილით საღამომდე ომი ყოფილიყო, ნადირშას გამარჯვებოდა, ინდონი ოცი ათასი მეტი მომკუდარიყო, ინდოეთ მეფე მაჰმადშაჰ სანგრიდამ გამოეყვანა, მიბრძანდა და შაჰ-ჯანაბათის ქალაქი აიღო, ინდოეთს თვითონ მეფედ დაჯდა. მას უკან დაბრუნდა და სინდეთი დაიჭირა და სინდეთ მეფეც შეიპყრა და ისევე ყანდაარს მობძანდა. თითონ ჩინეთისაკენ წაბძანდა, ბატონიშვილი აქეთ გამოესტუმრებინა ჩუენკენ. მოხვედით მშვიდობით, ალავერდს შევიყარენით... მაშინ შეგინწყალეთ და გიბოძეთ თელავს ბაზრის ტარულობა...“ [8: 1461. რგ. 13. ს. 185].

1738 წ. ნადირ-შაჰმა ქართველი დიდებულები თეიმურაზ კახ ბატონი, გივი ამილახვარი, ოთარ ჩოლოყაშვილი, პაატა ტუსისმვილი და სხვა ყანდაარიდან საქართველოში გამოისტუმრა. 1738 წ. მაისში თეიმურაზი უკვე კახეთში იყო: „მიეცა შანადირს კახეთი

არამედ მორჩილებისა შინა ტფილისს მჯდომი ხანისასა“ [I:628]. ამავე დროს რუსეთიდან საქართველოში ბრუნდება შანშე ქსნის ერისთავიც. საქართველოში დაბრუნების შემდეგ პირველ ხანებში თეიმურაზი კახეთის სამეფოს განაგებს ყიზილბაშ სარდალთან და ვექილთან შეთანხმებით. 1738 წ. მაისიდან 1744 წლამდე კახეთის სამეფოში გაცემულ საბუთებში [7, Hd 5799; 7805, 8007, 8426; Ad 293, 329, 1842, 2226; Qd 7241, 8017. 8, ფ. 1448, ს. 501, 507, 511, 512, 2385, 3233, 5565, 5716; ფ. 1449, ს. 237, 238; ფ. 1450, დ. 23. ს. 13 და სხვა] თეიმურაზი იწოდება: „დიდისა და ცამდინ ამაღლებულის ხელმწიფისაგან გახელმწიფებულ კახეთის მპყრობელ მეფედ“. სამხედრო საკითხში თეიმურაზ მეფე დამოკიდებული იყო აზერბაიჯანის სპასალარ იბრეიმ-ხანზე. მხოლოდ მისი ბრძანებით გამოჰყავდა ლაშქარი.

თავის მხრივ ნადირ-შაჰი ამ დროს საქართველოში სასტიკ რეპრესიებს მიმართავდა. მისი მეთოდები თითქმის არაფრით განსხვავდებოდა შაჰ-აბასის მეთოდებისგან. როგორც ნ. ბერძენიშვილი წერდა: „ნადირი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ საქართველო დამპყრობელი ირანის ერთგული არასოდეს იქნებოდა, რომ დამოუკიდებლობა-თავისუფლებისათვის ბრძოლას ქართველი ხალხი ცოცხალი თავით არასოდეს შეწყვეტდა და ამ ბრძოლის დროს ქრისტიანულ სახელმწიფოებთან მოკავშირეობაზე (რუსეთთან) ხელს არ აიღებდა. ნადირმა კარგად იცოდა, რომ საქართველო ამიერკავკასიაში რუსეთისათვის საიმედო მოკავშირეს წარმოადგენდა [I4:333].“

ინდოეთის შორეულ ლაშქრობაში მიმავალი ნადირ-შაჰისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ირანის პოლიტიკური ბატონობის გაძლიერებას და ადგილობრივი მოსახლეობის მორჩილებას. მან ეს საქმე თავის ძმას იბრეიმ-ხანს მიანდო, რომელსაც პირველ რიგში დაღესტან-ჭარი და ქართლ-კახეთი უნდა მოეყვანა სრულ მორჩილებაში. მაგრამ რაკი ქართლ-კახეთი წინარებთან შედარებით უფრო მორჩილებდა, ამიტომ იბრეიმ-ხანმა 1738 წელს ლეკთა „უბატონო თემების“ დასჯა განიზრახა. ვახუშტის ცნობით, 1739 წ. [I:628] ირანის სპასალარი ჭარის დასამორჩილებლად წამოსულა. მას სიხარულით შეერთებია თეიმურაზიც. ჭარის საკითხში ირან-საქართველოს ინტერესები ამ ხანებში ერთმანეთს ემთხვეოდა. ჯერ ჭარისა და შემდეგ დაღესტნის დამორჩილებით ირანს რუსეთის წინააღმდეგ ხელსაყრელი პლაცდარმის შექმნა სურდა. ქართველი მოღვაწეები კი ჭარის დამორჩილებით „ლეკიანობის“ მოსპობას ფიქრობდნენ [27:449]. იბრეიმ-ხანი ქართლ-კახეთისა და ყიზილბაშთა ჯარებით ჭარში

შევიდა. პირველად ყიზილბაშ-ქართველთა ლაშქარმა ქარში წარმატებებსაც მიაღწია, მაგრამ ქარელებს უსარგებლიათ ყიზილბაშთა უფარგისი მთავარსარდლობის შეცდომები და მოწინააღმდეგენი გაუჭყლეტიათ. თვითონ იბრემ-ხანიც ამ ბრძოლაში დაიღუპა. ამ გამარჯვების შემდეგ ლეკებმა შაქი დაიჭირეს და ძარცვა-რბევით მთელს აღმოსავლეთ ამიერკავკასიას მოედგნენ. ვახუშტის ცნობით, „გარნა კუალად ამით ქარელთა იწყეს მაგრება და განძლიერდნენ. ხოლო კახეთს იყო კუალადცა დაღისტნელთა ლეკთაგან ტყუენა, კლვა და ოხრებანი, და მცდელობდნენ მათ ზედაცა სიმაგრით გამო წინააღმდეგობასა“ [I:629].

ასეთ დაძაბულ სიტუაციაშიც კი, როგორც ჩანს ქართველთათვის დამახასიათებელი ფეოდალური შუღლი კვლავ მძვინვარებდა საქართველოში. როგორც, მე-18 ს-ის ქრონიკების ავტორი გვაცნობებს, რუსეთიდან დაბრუნებული შანშე ქსნის ერისთავი ლეკებს შეკვრია: „1739 წელს მიუხდა ქსნის ერისთავი შანშე ლეკის ჯარით ხაშმის ციხეს, აიღეს და იავარყვეს, აქედგან ლეკის თარეში გადავიდა სომხითში და აიკლეს, შემოადგნენ დმანისის ციხეს, მოეშველა სეფი-ხან განჯითგან დიდი ჯარით და დაამარცხნა ლეკნი დიდათ, დანარჩომი ჯარი ახალგორს მივიდა, ხაშმის-ანანურის ალაფი იქ შეენახათ, მაშინვე გაეშურნენ დაღესტნისაკენ, დაედევნა სეფი-ხანი ჯარით, დაენია ახმეტის ბოლოს და ამოწყვიტეს ლეკნი, დააყრევინეს ნაშოვარი და ტყვეები სრულებით“ [9: ფ. 1446 № 703].

ყანდაარიდან დაბრუნებულმა ნადირ-შაჰმა ერეკლე ბატონიშვილი გაათავისუფლა და თავის ქვეყანაში გამოუშვა. როგორც ომან ხერხეულიძე აღნიშნავს „1739 წლის 13 სექტემბერს ღამის 4 საათი იყო როცა ერეკლე ბატონიშვილი კახეთს ალავერდს მობძანდა, თვით დღესასწაულსა ალავერდისასა, საზოგადო ხალხთაცა ფრიად იმხიარულეს, სიხარულისა გამო მრავალნი პირნი ტიროდნენ“ [10: ფ. 1446 № 497].

1739-1741 წლებში ნადირ-შაჰს მტკიცედ გადაუნყვეტია დაღისტნის საფუძვლიანი დაპყრობა, რადგანაც კარგად ხედავდა, რომ მისი დაპყრობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ამიერკავკასიის ქვეყნების შენარჩუნება. ლეკებთან ომი 1741-1743 წლებში მიმდინარეობდა. ამ დროს ნადირ-შაჰი აღმოსავლეთში უძლიერეს ხელმწიფედ ითვლებოდა. მაგრამ დაღესტნისათვის ბრძოლა სასტიკი და ხანგრძლივი აღმოჩნდა, რამდენადაც დაღესტნელი ხალხის წინააღმდეგობა ნამდვილ სახალხო ომში გადაიზარდა [20:429], უდიდესი განსაცდელის წინაშე მთიელები გმირებად იქცნენ: აქამდის უძლეველი ნადირ-შაჰი დაღისტნიდან შერცხვენილი დაბრუნდა. მედგარი პარტიზანული ბრძოლით ლეკებმა ყიზილბაშთა ჯარს

სიცოცხლე გაუმწარეს. ლეკები მიუვალ ხეობებში ჩაიკეტნენ, რის შემდეგაც ყიზილბაშებსა და დაღესტნელებს შორის ზავი დადებულა. დაღესტნელებს ზავი შეუკრავთ თეიმურაზთანაც და მისთვის მძევლები მიუციათ. მეფეს წამოუყვანია მძევლები: „ჭარიდან – 9, თალადან – 6, ხაჩოდან – 4... იქვე ნათქვამია, რომ ჭარელები და თალაელები ხშირად მგზავრობდნენ გავაში, ყვარელში, ქიზიყსა და სხვა სოფლებში, რომ იქ შეესყიდათ პური, სიმინდი და მარილი“ [13:36]. ომი გახანგრძლივდა. ყიზილბაშთა დიდ ჯარს საზრდო შემოაკლდა. შაჰმა სურსათი ამიერკავკასიიდან მოითხოვა. აუტანელმა გადასახადებმა აჯანყება გამოიწვია [15:172]. ქართლის მოსახლეობა ნადირ-შაჰს განუდგა და ლეკებსა და ოსმალებს შეეკრა. ამის გამო, როგორც ომან ხერხეულიძე აღნიშნავს ტფილისის მჯდომი ხანი ნადირ-შაჰი ებრძოდა მარადის ქართველთა და აოხრებდნენ მარადის ორივე მხარენი ქართლისა და ესე ყოველივე აცნობა ტფილისის მჯდომიან ხანმან ნადირ-შაჰს. ხოლო იგი განძვინდა საქართველოსა ზედა, და განიგულა აყრა და მონყვეტა ქართლისა და კახეთის ხალხთა.“ თეიმურაზ მეფემ ეს ამბავი როცა შეიტყო: „წარავლინა დედოფალი თამარ მეფის ვახტანგის ასული, ვედრებად ნადირ-შაჰსთან რათა არა აღწვიდოს ქართლისა და კახეთის ხალხნი და დაჰსცხრეს განრისხებანი მისი ქრისტიანეთა ზედან.“ როდესაც თამარ დედოფალი ნადირ-შაჰს დაღესტანში ეახლა „ვეადრა მას აუყრელობასა ზედა ქართლ-კახეთისასა და ეგრეთვე აცნობა უცვედელობა ქმრისა თვისისა მეფისა თეიმურაზისა და ერთგულება ძისა თვისისა ირაკლისა.“ ამის შემდეგ მოღბა ნადირ-შაჰი, თამარ დედოფალი დიდი პატივით მიიღო, ყოველი თხოვნა აღუსრულა და უკან გამოისტუმრა“ [10: ფ. 1446 № 497].

თბილისში მჯდომ ყიზილბაშ ხანს კი ქართლის უკუმიდგარი თავადების წინააღმდეგ ბრძოლა უბრძანა. ამის შემდეგ ასლამაზ-ხანი შანშე ერისთავს მიუხდა ვანათის ციხეში, 22 დღე ალყაში ყავდათ, მაგრამ ვერაფერი დააკლეს, შემდეგ თოვლის მოსვლის გამო ალყა მოხსნეს. შანშეს ცოლ-შვილი ამ დროს ანერის ციხეში ჰყავდა თავშეფარებული. ყიზილბაშმა ხანმა ეს ციხე აიღო და შანშეს ცოლ-შვილი გამოიყვანა. ამის შემდეგ შანშე ახალციხეში გაიქცა, მაგრამ შანშე ახალციხის ფაშამ თბილისის ხანს გადასცა. ხანმა შანშეს ძმა იესეც შეიპყრო და ორივე ხორასანს გაგზავნა. ამრიგად, ირანელებმა დიდი გაჭირვებით შეძლეს შანშე ქსნის ერისთავის დამარცხება და ხელთ გდება, მაგრამ ქვეყანა ამით მაინც ვერ დაიმორჩილეს [14:333]. ირანის შაჰმა ამის შემდეგ „მისცა გივი ამილახორს ქსანი და ვექილობა ქართლისა, ბეჟანს ერისთობა არაგვისა და უბრძანა მოსვლა ლეკთა ზედა კახეთის მთიდამ“ [1: 518].

1741 წ. ნადირს დალესტანში ომი გაუჭიანურდა და ძალებიც შეუთხელდა. ამჯერადაც თავისი დაცარიელებული ხაზინის შევსება კვლავ დაპყრობილი ქვეყნების ხარჯზე სცადა. 1741 წ. ნადირის ბრძანებით საქართველო აღწერეს. შაჰის მოხელეებს აუღწერავი და დაუხარკავი არ დარჩენიათ სოფელი და ნასოფლარი, არც შენობა, არც ვაზის ძირი, არც ნაყოფის მომცემი ხე. მოსახლეობის ასაკის მიხედვით გააწერეს გადასახადები: სრულასაკოვანს – 2 მილანთუნი (2 მან.), „ყმანვილსა ასაკოვანსა“ 5 აბაზი (1 მან.), ხარჯი დასწერეს ხმანვილზეც (10 წლამდე) და ა. შ. „ყოველს ფერს შენობას, ანუ ოხერს ადგილს ასეთი ხარჯი დასდევს რომ ყოველის კაცისაგან დიდად შეუძლებელი იყო“ გადმოგვცემს პაპუნა ორბელიანი [27:450-451].

1741 წ. ნადირმა ქართლში განლაგებულ ყიზილბაშთაგან დამატებითი ძალები გამოითხოვა და ამასთან ერთად, ქართლის თავადებსაც დაავალა თავისი რაზმებით დალესტანსა და ჭარში სალაშქროდ თან გაჰყოლოდნენ, ისე როგორც კახეთის მეფე ახლდათ თან. თეიმურაზი, რომ ნამდვილად თან ახლდა ნადირ-შაჰს ამ ომებში, ეს დასტურდება თეიმურაზ II-ის მიერ პაატა და პაპუნა ალადაშვილებისათვის 1743 წ. მიცემული მამულის წყალობის წიგნით: „...ჩვენ რომ ხელმწიფეს ყიზიყუმუხში ვახლდით, თქვენც გაუყრელად ერთგულად გვახლდით და დარუბანდსაც ერთგულად გვემსახურენით“ (7: Ad 603, 2226). „ამავე ქორონიკონს (1741 წ.) – წერს პაპუნა ორბელიანი, – დაებარებინა იმამ-ყული-ხანი ქართლის ჯარით ადრიბეჟანის სარდალს ფათალი-ხანს, რომელსა გამოელაშქრებინა ჭარისა ქვეყანასა ზედა“. ნადირი ამასაც არ დასჯერდა და მოითხოვნა ქურივნი ქალნი, ქალწულნი ქალნი და ვაჟნი სამას-სამასნი, ხუთასი კომლი კაცი და ოცი ათასი ხარვარი პური“ [1:519]. ყოველივე ამან ქართლში დიდი აჯანყება გამოიწვია, რომელსაც გივი ამილახვარი ხელმძღვანელობდა. აჯანყების დანებების წინ გივი ამილახორმა დასახმარებლად კახთა მეფეს თეიმურაზ II-ს მიმართა „რათა უკუდგნენ შაჰ-ნადირისაგან, მაგრამ როგორც ვახუშტი წერს კახთა მეფემ მას არ უსმინა“ [1:519]. ჩვენი აზრით, თეიმურაზის ამ უარს თავისი გამიზვნა ჰქონდა: საქმე ისაა, რომ კახეთი ნადირ-შაჰთან თავისი ურთიერთობით სულ სხვა ინტერესებიდან გამოდიოდა, ვიდრე ქართლის ლიდერი გივი ამილახვარი.

ქართლისა და კახეთის ასეთი ურთიერთობა განპირობებული იყო, ერთი მხრივ, მათი სხვადასხვა პოზიციებით დალესტან-ჭართან ურთიერთდამოკიდებულებაში, ხოლო მეორე მხრივ, უმეფოდ დარჩენილი ქართლის სამეფო ტახტის მემკვიდრეობაზე ასევე განსხვავებული შეხედულებების გამო. ასე მაგალითად, თეიმურაზ

II-ის ინტერესებს სავესებით პასუხობდა ნადირ-შაჰის დაღესტან-ჭარზე ლაშქრობა და მათი დაუძლურება, რამდენადაც დაღესტან-ჭარი კახეთის ძირითადი საჭირობოროტო საკითხი იყო და მხოლოდ საკუთარი ძალებით მისი მოგვარება არც თუ შესაძლებლად მიაჩნდა. ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ თეიმურაზი ასე ნებაცყოფლობით ეყმარებოდა ნადირს ჭარზე სალაშქროდ. გარდა ამისა, თეიმურაზი ხედავდა, რომ ნადირ-შაჰის ირანი ის აღარ იყო, რაც ადრე. ამავე დროს რუსეთისა და ოსმალეთის როლი საერთაშორისო ასპარეზზე მცირდებოდა. გაძლიერებული ირანი თამამად უპირისპირდებოდა როგორც რუსეთს, ისე ოსმალეთს. ამიტომ გადაიხარა თეიმურაზის არჩევანი ამ ეტაპზე ირანისაკენ. თუმცა მან ისიც კარგად იცოდა, რომ არც ირანი და არც ოსმალეთი ქართლ-კახეთს თავზე ხელს არ გადაუსვამდა [27:449].

თეიმურაზ II თავისი ერთგული სამსახურის სანაცვლოდ ნადირ-შაჰისაგან უმეფოდ დარჩენილი ქართლის სამეფო ტახტს მოელოდა. მას ამის საფუძველს ის აძლევდა, რომ მისი მეუღლე დედოფალი თამარი ვახტანგ VI-ის ასული იყო. ეს კი შესაფერის ვითარებაში ქართლის სამეფო ტახტზე მის პრეტენზიებს უფრო კანონიერ ფორმას მისცემდა. ამიტომ კახთა მეფეს ბუნებრივია გივი ამილახორის წინადადება აჯანყებაში მონაწილეობის მიღების თაობაზე არაფერს აძლევდა, მით უფრო, რომ გივი ლეკებთან იყო შეკრული და ამ სიკეთესთან ერთად ქართლის სამეფო ტახტზე დიდის დაჟინებით ეპატიჟებოდა ვახტანგ VI-ის მემკვიდრე ბაქარს: „ჟამსა მას წარმოევლინა იმპერატრიცას ელისაბედს პეტროვნას ძე ვახტანგისა ბაქარ ამტარხანს. ესე ჰგონა გივმან მისასლევლად ქართლს მეფედ, წარუვლინა ბარძიმ ბიძის ძე თვისი და მოუწოდა ბაქარს, რათა მოვიდეს და დაიპყრას ქართლი“ [I:519].

უნდა აღინიშნოს, რომ შემდგომი მოვლენები ისტორიულად უფრო თეიმურაზ კახთა მეფის პოლიტიკური ანგარიშის მიხედვით წარიმართა და ობიექტურადაც კახეთისათვის უფრო სასარგებლო და მომგებიანი აღმოჩნდა: ყიზილბაშებსა და ქართლის აჯანყებულებს შორის გივი ამილახორის ხელმძღვანელობით ხანგრძლივი ბრძოლა დაიწყო. ოსმალეთი ხელს უწყობდა ქართლის აჯანყებას. ამილახორმა ბორჯომის ხეობა დაიჭირა და ახალციხიდან უხვად შემოჰქონდა ფული, იარაღი, ტყვია-წამალი. ამავე დროს ამილახორმა მთიელების დიდი რაზმები დაიქირავა და ყიზილბაშებს ენერგიულად იგერიებდა.

1742 წ. შაჰ-ნადირი დერბენდში მივიდა დაღესტნის დასაპყრობად. მან თავისთან ქართლ-კახეთის თავადებიც დაიბარა. 1742 წ. აგვისტოში კი ისინი უკან დააბრუნა. ამ დროს ნადირ-შაჰმა კახე-

თის მეფეს განსაკუთრებული პატივი დასდო. კახეთი მან ყიზილ-ბაშთა ხარკისაგან გაათავისუფლა. ამიერიდან კახეთს საყაენო ხარკის ანგარიშში მხოლოდ ხუთასი ნოქარი უნდა გამოეყვანა და ეს რაზმიც ისევ თეიმურაზს უნდა ხლებოდა. ასე, რომ კახეთმა „ქართველობის“ აღდგენის გზით დიდ წარმატებას მიაღწია, ხოლო თეიმურაზ მეფე სხვა ქართველ ფეოდალებს შორის შესამჩნევად გაძლიერდა [15:177].

რაც შეეხება ქართლს, ნადირ-შაჰმა მას ექვსი ათასი ხარი მოსთხოვა განჯიდან დალესტანში პურის წასაღებად. „გაისტუმრეს სამი ათასი ურემი შებშული, დაუდეს ორ-ორი ხარვარი შამახიდან, დალესტანში მიიტანეს. შესამეთ კვალად მოითხოვა ორი ათასი ხარი ბარდითგან პურის წასაღებად. ამისათვის განდგა ამილახორი გივი [9: ფ. 1446, № 703].

შაჰ-ნადირს გივი ამილახვარმა შეუთვალა: „ქვეყანა ოხერი შეიქმნა და არა გამოვიდოდისრაო, ველარ შევსძელ სამსახური ხელმწიფისა და წაველო“ [9: ფ. 1446, № 703]. შაჰ-ნადირმა ბარდის ხანის პირით პატიება შეუთვალა „ჩამოდი ყველაფერს გაპატიებო“ [იქვე], მაგრამ გივი ამილახორმა შაჰ-ნადირს უარი შეუთვალა და ბრძოლა განაგრძო.

ვიდრე ქართლში ამილახორის აჯანყება და თავადთა ურთიერთთავდამსხმელი ავანტიურა გრძელდებოდა, თეიმურაზ II-მ იმხანად თანმიმდევრულად განახორციელა თავისი მიზნები და კახეთმაც სული მოითქვა. მომაგრებულმა კახეთმა ლეკების საკითხიც რამდენადმე მოაგვარა. „მას ჟამში წერს პაპუნა, — კახეთი ლეკისაგან მოსვენებული იყო და არც ხელმწიფის ეთხოვოდისო, ვინც გზას იშოვნიდის ქართლის კაცნი, თავადნი, აზნაურნი ანუ გლეხნი იქ იხსნებოდინ, კარგადაც აპატივებდნენ მისულს კაცს, რომ არაფერს აწუხებდნენ“ [5:87]. კახეთში შექმნილი ეს მდგომარეობა მიზიდულობის დიდ ძალად იქცა განაწამები ქართლისა და მთიანეთის მოსახლეობისათვის. ქართლიდან აყრილი მოსახლეობა კახეთს აფარებდა თავს. ვახუშტის ცნობით — „რამეთუ მრავალნი წარჩინებულნი, აზნაურნი და გლეხნი დაეშენებოდნენ ქართველნი კახეთს, ვინაითგან მუნ უმცირესი ჭირი იყო თათართაგან“ [1:520]. ამ მოვლენების დამადასტურებელია ასევე 1743 წ. ნიკოლოზ ალავერდელის მიერ მიცემული წყალობის წიგნი მამაცაშვილისათვის: „...ასე რომე მეფის ერეკლეს (ნაზარალი-ხანის ნ.ს.) საქართველოს მპყრობელობაში გურიიდან მოსულიყავ და მეფესა და დედოფალს ხლებოდი — მათგან დიდი წყალობა გჭირვებოდა. მასუკან კახეთში რომ გამობძანდა დედოფალი ანა თან გამოჰყოლოდი. თვილზედ საგარეჯოს ეთიბერაშვილის გიორგის მამული და ყმა ებოძებინა. დაესა-

ხლებინა და ჟამთა ვითარებისაგან კახეთი ლეკის მძლავრებისაგან წახდა და გალექდა. ქისიცი და საგარეჯო აყრილიყო და ქალაქს ჩასულყო. შენც მაშინ აყრილიყავ და ქართლში გასულიყავ. ამაში დიდი ხანი გამოსულიყო, რომ ქართლში ყოფილიყავ. მასუკან ხელმწიფის მეფის თეიმურაზის ხელმწიფობაში მისის ბძანებითა ისევ კახეთში ჩამოხველ და დიდებულს წმიდას გიორგის და ჩვენ გვეყმე. მეფის თეიმურაზის ბძანებითა ... და დედოფლის თამარის ბძანებითა და ძისა მათისა ერეკლესითა დაგასახელეთ კონდოლს, მოგეცით და გიბოძეთ ამონყვეტილის ლასურიშვილის ბეჟანის ნაქონი მამული, დედული და სასაფლაო წმინდის სტეფნის საყდარი თავისის გარშემო ნაზრევეთა და სახნავის მიწითა, რაც საყდარს ქონებოდეს..." [8: ფ. 1449, ს. 2628]. ასეთივე შინაარსისაა შემდეგი დოკუმენტიც, რომელიც 1744 წელსაა გაცემული: „ციციშვილის ქაიხოსროსადმი მირთმეული წერილი, რომლითაც იცხადების: ქართლი აყრილა და დაფანტულან სხუასა და სხუასა ადგილს მტრის მიზეზით, და აყრილა მღებრიშვილი გოდერძი და კახეთს ჩასულა და ბოლოს მოსულა ციციშვილი ქაიხოსრო კახეთს და მეფეს თეიმურაზს უბოძებია ისევ თავისი ყმა მღებრიშვილი ციციშვილის ქაიხოსროსადმი..." [8: ფ. 1451, დ. 20, ს. 249; ფ. 1448, ს. 2986].

ქართლში კი კვლავ გრძელდებოდა აჯანყება ყიზილბაშთა წინააღმდეგ. ნადირ-შაჰმა ერთხელ კიდევ სცადა ამილახორთან შერიგება. თეიმურაზ მეფის პირით მან უვნებლობა აღუთქვა აჯანყებულს, მაგრამ ეს ცდაც უშედეგოდ დამთავრდა. შაჰის სამხედრო ღონისძიებები ქართლში სასურველ შედეგს ვერ იძლეოდა. ყაენმა ქართლის მმართველი იმამ-ყული-ხანი ხოჯა-ხანით შეცვალა, მაგრამ აჯანყება მაინც არ დამცხრალა. მაშინ ნადირ-შაჰი იძულებული გახდა ქართლის მიმართ პოლიტიკა შეეცვალა. ყიზილბაშთა რჩეული რაზმები და ხოჯა-ხანი შაჰმა ერანს გაიწვია. ქართლს მმართველად ვინმე ალი-ხანი დანიშნა და მრჩეულად აბდულა-ბეგ იესეს ძე მისცა. ყაენმა ქართლის თავადებს წყალობის თვალით შეხედა, განსაკუთრებული პატივი კი ვახტანგ მეფის ასულს თამარ დედოფალს დასდო. ამ აქტში უკვე ნათლად გამოიკვეთა ყაენის პოლიტიკური გეგმა ქართლის მიმართ – ნადირ-შაჰს ეს ქვეყანა თამარისა და მისი მეუღლის თეიმურაზისათვის სურდა მიეცა. ნადირმა ამავე დროს ქართლს ხარკიც შეუმცირა.

შაჰის ასეთ ღონისძიებებს მართლაც მოჰყვა გარკვეული შედეგები. აჯანყების მონაწილე თავადებში ერანთან შერიგების სურვილი გაჩნდა. შაჰის აგენტებს თავადების მოსყიდვა გაუადვილდათ და ქართლის აჯანყების ძალა ფეოდალების ურთიერთ-შორის

ბრძოლამ მნიშვნელოვნად შეანელა. ამილახორმა სამაჩაბლო დაარბია, კახეთის მეფე შიდა ქართლში შეიჭრა, შიდა ქართლის თავადებმა ქვემო ქართლი ააოხრეს. ფეოდალებს შორის ბრძოლა კიდევ უფრო გაღრმავდა. ამა თუ იმ ფეოდალური „სახლის“ შვილები ერანის მომხრენი და მოწინააღმდეგენი, სასტიკად არბევდნენ ერთიმეორეს [15:178].

1743 წ. აჯანყებულმა გივი ამილახორმა ხელთ იგდო საციციანო, მაგრამ მეორის მხრით მან არაგვის ხეობა დაკარგა. არაგველები უკმაყოფილონი იყვნენ ბეჟან ერისთავით. მას ბეგარა – სამსახური დაემძიმებინა არაგველთათვის. მას შემდეგ, რაც ნადირ-შაჰმა კახეთი ხარკისაგან გაათავისუფლა, თეიმურაზს მომხრეები გაუმრავლდა არაგვზე, ქსანზე, და მთელს ქართლში. მთიულ-მოხევეები შეუთანხმდნენ კახეთის მეფეს. თეიმურაზი შეპირდა მათ: „რაც ძველი ერისთავებისაგან არა გდებიათ, მის მეტს მე თქვენ არას გთხოვთ და ხელმწიფის სამსახურსაც მე გარდავსწყვეტო“. არაგველებმა მოკლეს ბეჟან ერისთავი და მისი ბიძაშვილი ოტია, გაძარცვეს მთიულეთს გივი ამილახორის სახლობა, მოუწოდეს თეიმურაზს და ყმობა შეჰფიცეს მას. ნადირ-შაჰმა არაგვი კახეთის მეფეს დაუმტკიცა [15:179].

თეიმურაზის მიერ თამარ ბატონისშვილისათვის 1752 წ. 2 ივნისს მიცემულ ძველი წიგნების განახლების წიგნში თეიმურაზი ზემოთ მოთხრობილ ამბებს ასე გადმოგვცემს: „ნადირშას იმამყულიხანის (ქართლის მმართველი ნ.ს.) ბატონობაში გივი ამილახორი და ბეჟან არაგვის ერისთავი უკუდგნენ, ორნივე ხიზნით მთიულეთს იდგნენ, ბეჟან ერისთავი თავისმა ყმებმა მოკლეს. ამილახორის საქონელი, ბარგი, რაც მთიულეთსა ქონდა აუკლეს“ [8: ფ. 1448, ს. 4714; 3I № 321]. ასევე აღსანიშნავია 1743 წ. თეიმურაზ მეფის მიერ მიცემული წყალობის წიგნი ბეჟან შაბურიშვილისათვის: „...რადგან ბედნიერმან ცათა სწორმან ხემწიფემ ნადირ, ჩვენის ერთგულების სამსახურის სანუფქოდ საერისთო უცილობელი ჩვენ გვიბოძა, რიგად ძველადგანაც ჩვენი ყოფილიყო, ახლაც კახეთზეც საერისთოდ დაგვიდგია და ახლა ჩვენ რომ საერისთოში დავბძანდით ერთგულად მოგვიდევით გვემსახურენით. ახლა შენის სამსახურის სანუფქოდ გიბოძეთ ხევისთაობა და შუახევის მოურაობა, ბოქაულთხუცობა გიბოძეთ და წყალობა გიყავით...“ [8: ფ. 1450, დ. 13. ს. 75]. არაგვის საეროსთაოს თეიმურაზის ხელში გადასვლა მალე მის ტიტულატურაშიც აისახა: პაატა და პაპუა ალადაშვილებითვის 1743 წ. 16 ივლისს მიცემულ მამულის წყალობის წიგნში თეიმურაზი თავის თავს ასე იხსენიებს: „ჩვენ იესიან, დავითიან, სოლომონიან, პანკრატოვანმან, კახეთის და არაგვის პატრონმან,

მეფეთ მეფემ და თვით ხელმწიფემან პატრონმან თეიმურაზ...“ [7: Ad 603, 2226].

ამილახორი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ნადირ-შაჰმა ქართლის აჯანყებულებს და ბაქარ ბატონიშვილს თეიმურაზ-თამარი მოხერხებულად დაუპირისპირა. ერანის სახარკო გადასახადისაგან კახეთის გათავისუფლებით, შაჰმა ამ ბრძოლაში თეიმურაზის პოზიციები მეტად გაამაგრა და გააძლიერა. სახარკო გადასახადისა და აჯანყებისაგან განანამები ქართლის მოსახლეობა შენატროდა კახეთის მოსახლეობას და კახეთს, სადაც არც ბოლომოუღებელი ურთიერთის რბევა იყო, აღარც ყიზილბაშების თარეში და არც საყაენო გადასახადი.

არაგვის საერისთაოს დაკარგვის შემდეგ (1743 წ. მარტში) გივი ამილახვარი ქართლში გადმოვიდა, გაამაგრა ქსნის, ქცხვილოსის, კეხვისა და სურამის ციხეები, შეეკრა ლეკებს და კვლავ აგრძელებს ბრძოლას ქართლის ყიზილბაში ხანისა და თეიმურაზის წინააღმდეგ. თეიმურაზი ქსნის ხეობაში იბრძოდა. ამ დროს ირანის ძველი ყაენის შვილი — ნადირ-შაჰისაგან დევნილი დაღესტანში იმყოფებოდა. მას დაღესტნელი ლეკები გამოუმძღვარეს და ოსმალეთის ხონთქართან მიაცილებდნენ, მათ იმედათ ქსანზე მდგომი გივი ამილახვარი ეგულებოდათ, მაგრამ, როგორც ვახუშტი წერს „ეტიკმან მისმან შეაცთუნა და მოიყვანა თეიმურაზისა თანა“ [I:520]. თეიმურაზმა იგი შეიპყრო და თავის ძეს ერეკლეს გაატანა შაჰ-ნადირთან, რომელიც იმ დროს ოსმალელებს მუსულთან ეომებოდა. ირანის შაჰმა „დიდად დაუმადლა და მოჰსწერა წიგნი მადლობისა მეფესა თეიმურაზს და მოუბოძა ათი ათასი ოქრო და მოუმცნო ტფილისს მჯდომ ხანსა, ყილიჩ-ალიხანსა, მეფის თეიმურაზისთვის იხტიარობა მომიციაო და ყოველს საქმეს მაგას უნდა ჰკითხვიდეთო“ [10: ფ. 1446, № 497]. მალე ქსნისხეველებიც ამილახორის მიერ მიღებული საგანგებო ღონისძიებების მიუხედავად, განუდგნენ მას და თეიმურაზ მეფეს მიემხრნენ. მე-18 ს-ის ქრონიკების ავტორი აღნიშნავს, რომ „1743 წ. დეკემბერში მობძანდნენ ქსანზე თეიმურაზ-ერეკლე, წირქოლის ციხეში იდგა რევაზ ამილახორი, ბიძაშვილი გივისა, სთხოვეს ციხე რევაზს, გამოვიდა რევაზ და ჩააბარა ციხე“ [9: ფ. 1446, № 703]. პაპუნა ორბელიანი ამ ამბავს ასე გადმოგვცემს: „შევიდა კახი ბატონი თეიმურაზ, დაიმონა ხმლით ქსნისხევი, დადგა შიგ“ [5:71]. ვახუშტის ცნობით კი „ბიძაშვილმან გივისმან რევაზ მისცა ციხენი ქსნისანი თეიმურაზს და თვით აზნაურითა და გლეხითა შთავიდა კახეთს, რამეთუ მრავალნი წარჩინებულნი, აზნაურნი და გლეხნი დაემუნებოდნენ ქართველნი კახეთს, ვინაითგან მუნ უმცირესი ჭირი იყო თათართაგან“ [I:520]. გივი ამილახ-

ორმა დახმარებისათვის ოსმალეთს მიმართა. ოსმალთა დამხმარე ჯარი ამილახორს სურამში მოუვიდა. ამილახორის და ოსმალეთის ლაშქარი აჩაბეთის ციხესთან შეებნენ მოწინააღმდეგეს. კახელებსა და თუშებს ერეკლე ბატონიშვილი სარდლობდა. ამილახორი და ოსმალეები დამარცხდნენ. თეიმურაზმა მტკიცედ დაიპყრო ქსნის საერისთაო. ოსმალთა დამხმარე ჯარი ახალციხეს დაბრუნდა. 1744 წ. II თებერვალს გაცემულ წყალობის წიგნში თეიმურაზი თავის თავს უკვე ასე იხსენიებს: „ჩვენ კახეთის, არაგვის და ქსნის პატრონი მეფეთ მეფე თეიმურაზ და თანა მემცხედრე ჩვენი ქართველთ მეფის ასული პატრონი დედოფალი თამარ...“ [8: ფ. 1449, ს. 1266]. ეს ამბავი თეიმურაზის დიდი გამარჯვება იყო. ქართლის საზოგადოების დიდი უმრავლესობის თვალში გივი ამილახორის აჯანყებას იდეური საფუძველი ეცლებოდა. ქართლის მოსახლეობა იმედოვნებდა, რომ თეიმურაზი ქართლს ყიზილბაშობიდან ისევ გაათავისუფლებდა, როგორც კახეთი გაათავისუფლა. თეიმურაზმა ქართლის თავადები მოიწვია და გადაწყვიტეს ყაენისათვის ხარკის შემცირება ეთხოვათ. ამის გამო ქართლის ფეოდალური საზოგადოება თანდათანობით ორად გაიყო: თეიმურაზის (ერანის) და გივის (ოსმალეთის) მომხრეებად.

1744 წ. ოსმალეთის ლაშქარი კვლავ შემოვიდა ქართლში. ამ ჯარს ახალციხის ფაშა უსუფი სარდლობდა. ოსმალეებს ქართლის დაჭერა და შარვან-დაღესტანთან უშუალო დაკავშირება სურდათ. ამილახორი ოსმალეთის ჯარს სურამთან დახვდა. თბილისის ხანი ყიზილბაშთა ჯარით და თეიმურაზი ქართველთა ჯარით მტერს გორის მისადგომებთან თედონმინდასთან შეებნენ. ქართველთა და ყიზილბაშთა ლაშქარი დამარცხდა და ოსმალეები გორში შევიდნენ. უსუ-ფაშამ თეიმურაზ-სპარსელთა წინააღმდეგ ლეკების ასამოქმედებლად ოსმალეთის მთავრობისაგან გამოტანებული ხაზინა გაგზავნა დაღესტანში ლეკების განთქმული ბელადის მალაჩის ხელით, რომელსაც თან 2.000 ლეკი და ამდენივე ოსმალე ახლდა. ტფილისის ხანმა ეს ამბავი ერეკლე ბატონიშვილს აცნობა. შეკრიბა ერეკლემ კახელები, 200 ყიზილბაში და მტერს არაგვისპირზე გადაუყეცა გზა. ერეკლე ბატონიშვილმა დაღესტნის პირველი ბელადი მალაჩი თავისი ხელით გამოასალმა სიცოცხლეს. დამარცხებული ლეკ-ოსმალეები რუვისს მიუვიდნენ უსუფ-ფაშას. უსუფ-ფაშა იმავე ღამეს აიყარა და შეშინებულმა დატოვა ქართლი. იგი ჯავრისა და ნერვიულობისაგან აწყურში გარდაიცვალა. ოსმალთა დიდძალი ალაფი და ხაზინა თეიმურაზსა და ტფილისის ხანს დარჩა. ყოველივე ეს აცნობეს ირანის შაჰს. „ესე განიხარა ფრიად შაჰნადირ და მოსცა თეიმურაზს ქართლი, ხოლო ერეკლეს ძესა მისსა — კახეთი“ [1:521; 9, ფ. 1446 № 703; 10, ფ. 1446 № 497].

ამრიგად, 1744 წ. მაისში ნადირ-შაჰმა თეიმურაზი ქართლის, ხოლო ერეკლე კახეთის მეფედ დანიშნა. ყაენმა ძველი ჩვეულება აღადგინა — ქართლისა და კახეთის მეფეებს ერანის ხაზინიდან „ჯამაგირი“ გაუჩინა. ამის შესახებ თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ III ტომში ვკითხულობთ: „უღბ-1744 წ. ა მაისს მოსცა შაჰნადირმა მეფობა ქართლისა თეიმურაზს და ორი ათასი თუმანი ჯამაგირი, ხოლო ერეკლეს — მეფობა კახეთის და ათასი თუმანი ჯამაგირი. ლილოდან შემობრძანდა თეიმურაზ ქალაქში, იყო დიდი სიხარული მკათათვის თ. სამი დღე და ღამე მეჯლისი იყო. ამ დროს თეიმურაზი 44 წლის იყო შობითგან“ [6:172]. 1744 წ. ლომი ბეჩაშვილისათვის მიცემულ მამულის წყალობის წიგნში ერეკლე ამბობს: „ოდეს მალაღმა ხელმწიფემ ყაენმა ველინამად ბატონს მამაჩვენს: ყაზახ-ბორჩალო და საქართველო (ამ შემთხვევაში — ნ.ს.) უბოძა და ჩვენ კახეთი და ქსან-არაგვი, იმხანად შენ ერთგულად გვემსახურე...“ [8: ფ. 1448, ს. 583]. აღნიშნული საბუთიდან ირკვევა, რომ ნადირ-შაჰს თეიმურაზისათვის ყაზახ-ბორჩალო და ქართლი, ხოლო ერეკლესათვის კახეთი და ქსან-არაგვი უბოძებია.

აღსანიშნავია, რომ გივი ამილახორი ამის შემდეგაც არ წყვეტდა ბრძოლას. 1745 წლისათვის გივი ამილახორს მხოლოდ სურამის ციხე შემორჩენოდა და შიგ ჩაკეტილიყო. დიდი ენერჯისა და სახსრების დახარჯვა დასჭირდათ მოაღყეებს, რომ ხუთი თვის ალყის შემდეგ სურამის ციხე აეღოთ. 1745 წ. თებერვალში „თამარ დედოფალმა შეჰფიცა ამილახვრებს და ქართველებს — თეიმურაზი ქართლში არ იბატონებსო, მე ვიქნები სანამ ძმა მომივაო. ამ დროიდან თამარმა იწყო გამგობა ქართლისა. აპრილში თამარ დედოფლის მინდობით გივი დამორჩილდა, თეიმურაზმა სახლთუხუცობა უბოძა გივის“ [9: ფ. 1446 № 703]. მალე გივი ამილახორი თეიმურაზმა და თამარმა ირანის შაჰს გაუგზავნეს. ამის შემდეგ ნადირ-შაჰმა თეიმურაზს ნება დართო ქრისტიანული წესით კურთხეულიყო. 1745 წ. I ოქტომბერს ძველი ქართული წესით თეიმურაზ II სვეტიცხოველში ეკურთხა ქართლის მეფედ, ხოლო ერეკლე II — კახეთის მეფედ.

ამრიგად, XVIII ს-ის 35-40-იან წლებში თეიმურაზ-ერეკლეს წინდახედულმა პოლიტიკამ და ქართველი ხალხის თავდადებულმა ბრძოლამ თავისი შედეგი გამოიღო: აიძულა ნადირ-შაჰი შეეცვალა საქართველოს მიმართ პოლიტიკური ხაზი, ქართველთა გამაჰმადიანება-გაყიზილბაშების პოლიტიკა უარყოფილ იქნა. თითქმის საუკუნეზე მეტი იყო, რაც ქართლ-კახეთს გამაჰმადიანებული მეფეები მართავდნენ, ახლა კი ქრისტიანი მეფეების დამტკიცებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის ისტორიაში.

მითუმეტეს, რომ ნადირ-შაჰმა ქართლს XVII საუკუნეში მიტაცებული ტერიტორიებიც ლორე, ბორჩალო და ბაიდარიც დაუბრუნა. ამრიგად, ქრისტიანი თეიმურაზ-ერეკლეს გამეფებით ქართლ-კახეთში ფაქტიურად საქართველოს ისტორიაში ახალი ეტაპი იწყება. მაგრამ, როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა „ეს ნადირ-შაჰის წყალობა როდი იყო. ეს იყო ქართველთა ასორმოცდაათწლოვანი მედგარი ბრძოლით მონაპოვარი უფლება“ [15:184].

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტ. IV, ტექსტი დადგენილია სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, თბ.
2. ბროსე მარი, Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями с 1659 по 1770 гг. СПб., 1861
3. დონდუა ნ. ქართულ-სპარსულ (ორენოვანი) ისტორიული საბუთები (XVII-XVIII სს). თბ., 1984
4. იოსელიანი ავ. დოკუმენტები რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან, კახეთის სამეფოს ელჩობა რუსეთში თავად როსებ გიორგის ძის მეთაურობით. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამმართველოს საისტორიო მოამბე № 2, თბ., 1946
5. ორბელიანი პაპუნა, ამბავი ქართლისანი, ქართლის ცხოვრება, ელ. ცაგარეიშვილის გამოცემა, თბ., 1981
6. ჟორდანიას თ, ქრონიკები, ტ. III, თბ., 1967
7. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის H, Hd, Sd, Qd, Ad ფონდები.
8. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის ფონდები: 1448, 1449, 1450, 1451, 1461.
9. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონ. 1446 № 703.
10. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონ. 1446 № 497.
11. ფუთურიძე ვ. ქართულ-სპარსულ ისტორიული საბუთები, თბ., 1955 წ.
12. ჩხეიძე სეხნია. საქართველოს ცხოვრება, თბ., 1913 წ.
13. Хроника войн Джара в XVII столтия под перакицией В. Хулуфлуя Багы, 1931
14. ასათიანი ნ. საქართველოს ისტორია, თბ., 2001
15. ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II, თბ., 1965 წ.
16. ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი III, თბ., 1966

17. ბერძენიშვილი ნ. XVIII ს-ის საქართველოს ისტორიიდან. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1944
18. ბოცვაძე თ. საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან (XV-XIII სს.). თბ., 1968
19. გვრიტიშვილი დ. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. III, 1968
20. კაციტაძე დ. ირანის ისტორია III-XVIII სს., თბ., 2001
21. ლომიძე დ. ქართლისა და კახეთის მმართველთა ქრონოლოგია, მრავალთავი VIII, თბ., 1980
22. ლომიძე დ. აღმოსავლეთ საქართველო 1735-1749 წლებში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1986
23. Иванов М. Очерки истории Ирана, М. 1952
24. Паичадзе Г. Русско-грузинские политические отношения в первой половине XVII века, Тб. 1970
25. პაპუაშვილი თ. ჭარ-ბელაქანი, თბ., 1972 წ.
26. რატიანი ლ. აღმოსავლეთ საქართველოს შინაპოლიტიკური ვითარება XVIII ს-ის 40-50-იან წლებში, მრავალთავი VI, 1978
27. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973
28. სამსონაძე მ. დედოფალი თამარ, ვახტანგ VI ასული, ანალები, 2003 წ. №1.
29. სვანიძე მ. საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1990
30. სოლოლაშვილი ნ. ქართლ-კახეთის გათავისუფლება ოსმალ-თა ბატონობისაგან (XVIII ს-ის 30-იან წლებში), საისტორიო შტუდიები IV, თბ., 2003
31. ქავთარია მ. ბაგრატიონთა ქართლ-კახეთის სამეფო სახლის განვითარება და ქრონოლოგია XVII-XVIII სს. მრავალთავი VI, 1978
32. ქიქოძე გ. ერეკლე მეორე, თბ., 1982

Nana Sologashvili

Kartli and Kakheti in the 40-ies of the 18th century

In 1735, from August in the East of Georgia beged “Kizilbashoba”, From now on, the rulers of Kartl-Kakheti were appointed by power of Iran. Shah of Iran used to choose as a rulers either Georgian Moslim kings or Kizilbash khans. They had being ruling from August of 1735 to January of 1744, before reing of Teimuraz-Erekle in Kartl-Kakheti. It was the hurdest time in the history of Geargia.

In the presented work, the basis of todays resourses and literature, there is complitely studied such basic questions as it’s reign of the son (Ali-mirza) of Alexandre David Imamkuli-khan in Karti-Kakheti, Archil (Abdula-beg), son of Iese’s reign in Kartli, Kartl-Kakheti battle towards Nadir Shah in 1736 -1740 and Temuraz Erekle’s diplomatic relations between Teimuraz-Erekle and Nadir Shah, after that they approached confidance of Shah of Iran and obtain the gratest victory. After that in 1744 Nadir-Shah gave to Christian Teimuraz reign of the Karfli and to Christian Erekle reign of fhe Kakheti.